„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი სოფიო გვეტაძე
„04“ 09 2024 წ.

”ჩემპიონთა თასი - 2024”

ღია საჭადრაკო ტურნირები

28 სექტემბერი - 7 ოქტომბერი 2024 წ.
ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

2. ტურნირები:

2.1. A ღია ტურნირი;

2.2. B ღია ტურნირი.

3. ღონისძიების მართვა:

განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

4. სათამაშო წესები:

4.1. დროის კონტროლი:

- 90 წუთი პარტიის ბოლომდე, 30 წამის დამატებით ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან).

4.2. ტურნირები ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 9 ტურად.

4.3. დაითვლება ფიდეს რეიტინგი.

5. მონაწილენი:

5.1. ტურნირებზე დაიშვებიან მხოლოდ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრები.

5.2. A ღია ტურნირზე მონაწილეობის უფლება აქვთ:

- ფიდეს საერთაშორისო წოდების (GM, WGM, IM, WIM, FM, WFM) მქონე აქტიური რეიტინგის მქონე მოჭადრაკეებს;
- კლასიკურ ჭადრაკში ფიდეს აქტიური რეიტინგის 2000 და მეტის მქონე ვაჟ მოჭადრაკეებს (2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით);
- კლასიკურ ჭადრაკში ფიდეს აქტიური რეიტინგის 1800 და მეტის მქონე ქალ მოჭადრაკეებს (2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით);
- 2024 წლის 12, 13, 14, 15, 16, 18 და 20 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა საქართველოს ჩემპიონატებზე 1-3 ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს;

მონაწილეთა ცხოვრების, კვების და გზის თანხებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

5.3. B ღია ტურნირზე მონაწილეობის უფლება აქვთ კლასიკურ ჭადრაკში ფიდეს 2000-მდე რეიტინგის მქონე მოჭადრაკეებს (2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით);

5.4. ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს გადახდილი 2024 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი (**დანართი 1**) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე: (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE30BG0000000584705115**). ასევე, შევსებული ელექტრონული ფორმა - https://forms.gle/vJGBfSvyoMGPpAgDA

6. **რეგისტრაცია და საწევრო შესატანი:**

6.1. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/pj5tGZTiow68BJ2q7

ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე საწევრო შესატანის (50 ლარი) გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2024 წლის 27 სექტემბრის 18:00 სათი.

ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83

თითოეული მონაწილის საწევრო შესატანია - 50 ლარი.

საერთაშორისო დიდოსტატები და ოსტატები, სოციალურად დაუცველები და მრავალშვილიანები განთავისუფლებულნი არიან საწევრო შესატანიდან, იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრაციის დასრულებამდე (27 სექტემბრის 18.00 საათამდე) შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.

დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში საწევრო შესატანია 100 ლარი.

6.2. რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები:

სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE34BG0000000129766701**. ბანკის კოდი BAGAGE22

7. **ტურნირების განრიგი:**

ტური	რიცხვი	დრო
ჩამოსვლის დღე	28 სექტემბერი	
გახსნა / მისალმება	29 სექტემბერი	14:45
I ტური	29 სექტემბერი	15:00
II ტური	30 სექტემბერი	15:00
III ტური	1 ოქტომბერი	15:00
IV ტური	2 ოქტომბერი	15:00
V ტური	3 ოქტომბერი	15:00
VI ტური	4 ოქტომბერი	15:00
VII ტური	5 ოქტომბერი	15:00
VIII ტური	6 ოქტომბერი	15:00
IX ტური	7 ოქტომბერი	15:00
დახურვა	7 ოქტომბერი	19:30

8. **გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება:**

8.1. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

ა) ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);

ბ) ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);

გ) ურთიერთშორის შეხვედრა;

დ) შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;

ე) მოგებების მეტი რაოდენობით.

8.2. A და B ღია ტურნირებზე I ადგილზე გასული და ქალთა შორის საუკეთესო შედეგის მქონე მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით, დიპლომებით და ფულადი პრიზებით; II - III ადგილზე გასულები დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებით და ფულადი პრიზებით.

9. საპრიზო ფონდი: 22000 ლარი

9.1. A ღია ტურნირი:

კატეგორია	1	2	3	4
ღია	5000	3500	2800	1800
ქალთა შორის	3000	2000	1000	

9.2. B ღია ტურნირი:

კატეგორია	1	2	3
ღია	800	550	350
ქალთა შორის	600	400	200

9.3. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ფულადი პრიზი არ იყოფა.

9.4. თუ ქალი მოჭადრაკე მოიპოვებს 2 პრიზს როგორც ღია, ასევე ქალთა კატეგორიაში, მაშინ მას აქვს ორივე პრიზის აღების უფლება;

9.5. ყველა პრიზი დაიბეგრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.6. პრიზების მისაღებად სავალდებულოა დახურვაზე დასწრება.

10. **საერთო წესები:**

10.1. ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;

10.2. ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში. მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 100 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

11. **სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:**

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

ტურნირის მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი